



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/54/19

15-02-2019

ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 15² და 15³ მუხლებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 206-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულება (დანართი 1) და საკონკურსო პირობები (დანართი 2).

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2019 წლის 15 თებერვალს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე
ირაკლი კობახიძე